დანართი N1

სს საქართველოს ბანკის მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით კანდიდატთა შერჩევის წესი

1. სს საქართველოს ბანკის მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტების დაფინანსების მიზნით კანდიდატთა შერჩევის წესის მიზანია უზრუნველყოს კანდიდატთა შერჩევა და მათი სწავლის სემესტრული საფასურის დაფინანსება 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში.

2. პირველ პუნქტში მითითებული სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით კანდიდატები შეირჩევიან დამფინანსებლის მიერ გამოყოფილი თანხის ოდენობის - 12500 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ფარგლებში, აღნიშნული თანხის სრულ ამოწურვამდე. იმ შემთხვევაში, თუ მითითებული თანხა სრულად არ ფარავს დაფინანსებულთა სარეიტინგო სიაში უკანასკნელ ადგილას მყოფი კანდიდატის სწავლის სემესტრული საფასურის სრულ ოდენობას, კანდიდატი დაფინანსდება ნაწილობრივ.

3. იმ შეთხვევაში, თუ კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი), მოპოვებული აქვს სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან/და სხვა სახის სწავლის დაფინანსება იგი კარგავს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. ხოლო, იმ შეთხვევაში თუ კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი), მოპოვებული აქვს ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან/და სხვა სახის სწავლის ნაწილობრივი დაფინანსება ამ წესში მითითებული დაფინანსების მოპოვება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალურ სემესტრულ (1125 ლარის) ოდენობამდე.

4. სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განაცხადის წარდგენა შეუძლია უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის II-VIII სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომლის საშუალო აკადემიური მოსწრების მაჩვენებლი (GPA) აღემატება 3.0-ს და რომლის მიერ დაგროვილი კრედიტების ოდენობა თითოეულ განვლილ სემესტრში არანაკლებ 25-ია.

5. კანდიდატთა შერჩევა იწარმოებს ორ ეტაპად. პირველ ეტაპი - განაცხადის (დოკუმენტაციის) გადარჩევა (თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ამავე ბრძანებით დადგენილ კრიტერიუმებს), ხოლო მე-2 ეტაპი - გასაუბრება.

6. კონკურსის პირველ ეტაპზე შეირჩევა არაუმეტეს 20 სტუდენტი. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება 20-ს, მათ შორის უპირატესობა მიენიჭება წინა (2022-2023 სასწავლი წლის გაზაფხულის) სემესტრში მაღალი აკადემიური მოსწრების (GPA) მქონე

სტუდენტს. თუ აკადემიური მოსწრების (GPA) მაჩვენებელი თანაბარია, უპირატესობა მიენიჭება წინა (2022-2023 სასწავლი წლის გაზაფხულის) სემესტრში მაღალი საშუალო ქულის მქონე სტუდენტს.

7. კონკურსის პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატთა შორის წარმოდგენილი უნდა იყოს უნივერსიტეტის არანაკლებ 3 სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტი.

8. კონკურსის მე-2 (დასკვნით) ეტაპზე დასაფინანსებელი სტუდენტები შეირჩევიან გასაუბრების საფუძველზე.

9. გასაუბრების კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედის სს საქართველოს ბანკის წარმომადგენელი მოწვეული წევრის სტატუსით.

10. კანდიდატმა სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განაცხადი უნდა წარადგინოს 9 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით, სადაც გაცხადებული უნდა იყოს კანდიდატის თანხმობა მისი მონაცემების მე-3 პირისთვის (სს საქართველოს ბანკი) გადაცემასთან დაკავშირებით (განაცხადის წარდგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის კანცელარიაში (I კორპუსი, ოთახი N114).